საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვერულაშვილი ივანე ვასილის ძე

ვერულაშვილი ივანე ვასილის ძე (დ. 3. III. 1952, ქუთაისი), ნევროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1996), პროფესორი (2004). 1974 დაამთავრა თსსი; 2001–04 იყო თსსუ-ის ნევროლოგიის კათედრის პროფესორი, 2004-იდან არის ნეირომედიცინის დეპარტამენტის ნერვულ სნეულებათა პროპედევტიკის და ტოპიკური დიაგნოსტიკის მიმართულების ხელმძღვანელი, თსსუ-ის ა. ალადაშვილის სახ. საუნივერსიტეტო ნევროლოგიის დეპარტამენტი ხელმძღვანელი; თბილისის ს. ყიფშიძის სახ. ნევროლოგთა საზ-ბის თავ-რე. ევრ. ნევროლოგთა საზ-ბის ნამდვ. წევრი (1992). ვ-ის სამეცნ. შრომები ეხება კლინ. ნევროლოგიის აქტუალურ საკითხებს.

თხზ.: გვირაბული სინდრომების მკურნალობა, თბ., 1996; ნერვულ სნეულებათა კვლევის და დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები, თბ., 2004 (თანაავტ.: ნ. ნინუა, გ. ქორთუშვილი); ასაკი და ორგანიზმის ბიოლოგიური საათი, თბ., 2008 (თანაავტ.); ნევროლოგია – ტოპიკური დიაგნოსტიკის საფუძვლები (სახელმძღვანელო), თბ., 2009; Неврология женского организма (Монография), М., 2001 (აღნიშნულია წმინდა ილარიონ ქართველის პრემიით); Nervous diseases propaedeutics and topical diagnosis, თბ., 2012.